

საქართველოს კანონი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №33, 09.11.2009, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ გადასახადის, ბაჟის, მოსაკრებლის, ტარიფის, საფასურის განაკვეთებისა და ოდენობების ჩამოყალიბება შესაძლებელია ნორმატიული აქტის ტექსტის შესაბამისი ნორმებისაგან განცალკავებით – სქემების, ცხრილების, ნუსხების ან სხვა ფორმით, მაშინ ისინი ნორმატიულ აქტს უნდა დაერთოს დანართის სახით. ნუსხები, უჯრები, სქემები, ცხრილები, სურათები და ა. შ. ნორმატიული აქტს დაერთება მხოლოდ დანართის სახით. ნორმატიული აქტის დანართი ქვეყნდება ნორმატიულ აქტთან ერთად და მისი ნაწილია.“.

2. 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოს მინისტრის ნორმატიული აქტი მისი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით, გარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცემული აქტებისა. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში.“.

3. 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ან მის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობა დასაშვებია მხოლოდ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას.“.

4. 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო რეესტრი (გარდა „საიდუმლო“ ნაწილისა) წარმოებს ელექტრონული ფორმით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე.“.

5. 31-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ერთობლივი ნორმატიული აქტი, რომელიც უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილია სხვადასხვა დღეს, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სარეგისტრაციოდ გადაეცემა ბოლო ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში. უფლებამოსილი თანამდებობის პირების ხელმოწერის დღეებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს.“.

6. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნორმატიული აქტი (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს ეროვნული ბანკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტებისა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“) გადაეცემა 4 ეგზემპლარად (მათ შორის, დედანი), აკინძული და შესაბამისი ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული. სარეგისტრაციოდ წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე ნორმატიული აქტის ელექტრონული ვერსია. ნორმატიულ აქტს (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტებისა) თან უნდა ახლდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა.“.

7. 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის ასეთივე გრიფის მქონე ნაწილი შეიტანება სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში.“.

8. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები და 27-ე-29-ე მუხლები ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.“.

9. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. ამ კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2010 წლის 1 მაისიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი